

კონფიდენციალურობის პოლიტიკა ბოლოს განახლდა 2019 წლის 21 იანვარს

კონფიდენციალურობის პოლიტიკა აღწერს თუ როგორ ამუშავებს Area.ge თქვენს მიერ ჩვენთვის მოწოდებულ ინფორმაციას და მონაცემებს რათა ვმართოთ თქვენი ურთიერთობა Area.ge-სთან.

თქვენს შესახებ ჩვენთვის მოწოდებულ ან სხვაგვარად ჩვენს ხელთ არსებული ნებისმიერ ინფორმაციის დამუშავება ხდება წინამდებარე პოლიტიკით განსაზღვრული წესით. ინფორმაციის მოწოდება შესაძლებელია ვებ-გვერდ Area.ge-ს (შემდგომში „**ვებ-გვერდი**“) საშუალებით, ტელეფონით ან სხვაგვარად.

კონფიდენციალურობის პოლიტიკის მიღებით თქვენ ეთანხმებით და აცხადებთ, რომ თქვენთვის გასაგებია და თანახმა ხართ თქვენი პერსონალური მონაცემების გამოყენება მოხდეს პოლიტიკის შესაბამისად. **თუ თქვენ არ ეთანხმებით კონფიდენციალურობის პოლიტიკის პირობებს, გთხოვთ არ ისარგებლოთ ვებ-გვერდით ან სხვაგვარად მოგვაწოდოთ თქვენი პერსონალური მონაცემები.**

## ვინ ვართ ჩვენ

კონფიდენციალურობის პოლიტიკაში მითითებები Area.ge-ზე (შემდგომში „**ჩვენ**“ ან „**ჩვენი**“) ნიშნავს „სს პოლიმათ გრუფს“ (JSC Polymath Group) (საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში კანონიერად დაფუძნებული და მოქმედი ორგანიზაცია, კომპანიის ნომერი 402096227) (შემდგომში „**კომპანია**“ ან „**ჩვენ**“) მიერ მართულ Area.ge-ს („**ვებგვერდი**“ ან „**გვერდი**“). ჩვენ ვართ დეველოპერთა გუნდი, რომლებმაც უძრავი ქონების ონლაინ ბაზარზე საქართველოში შევიმუშავეთ ახალი კონცეფცია. აღნიშნულ ვებ-გვერდზე გთავაზობთ საჭიროებებზე მორგებულ უძრავი ქონების გაყიდვას და/ან გაქირავებას („**უძრავი ქონების სერვისები**“ ან „**სერვისები**“). აღწერისათვის გთხოვთ იხილოთ [„სერვისების“](#) პლატფორმა ჩვენს ვებ-გვერდზე. ჩვენ ვაკონტროლებთ მეთოდს, რომლითაც ხდება თქვენი პერსონალური მონაცემების მოგროვება და იმ მიზნებს, რომლისთვისაც Area.ge, „მონაცემთა მაკონტროლებლის“ რანგში, იყენებს თქვენს პირად მონაცემებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის დაცვის მიზნით.

## კონფიდენციალურობის ჩვენი პრინციპები

- ჩვენ ვიცავთ ჩვენი მომხმარებლების შესახებ ჩვენს ხელთ არსებულ ყველა არასაჯარო პირად მონაცემებს უსაფრთხოების და კონფიდენციალურობის მკაცრი სტანდარტების შესაბამისად;

- ამ მონაცემების დასაცავად ჩვენ ვატარებთ ფიზიკური, ელექტრონული და ორგანიზაციული უსაფრთხოების ღონისძიებებს;
- ჩვენი მოთხოვნაა, რომ ნებისმიერმა მხარემ, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქტის ჩვენთვის ან ჩვენი სახელით ჩვენი მომხმარებლებისთვის მოწოდებას, დაიცვას ამ ინფორმაციის კონფიდენციალურობა;
- მხოლოდ უფლებამოსილ კონტრაქტორებს და თანამშრომლებს, მათ შორის მხარდაჭერის და თაღლითობის აღმოფხვრის გუნდს, ეძლევათ უფლება იქონიონ წვდომა თქვენს შესახებ არსებულ არასაჯარო ინფორმაციასთან.
- პერსონალური მონაცემების გამოყენების და გაზიარების კუთხით, ყოფილ მომხმარებლებს ჩვენ უზრუნველვყოფთ იმავე ხარისხის დაცვით, როგორც მიმდინარეს.

### **თქვენი პერსონალური მონაცემების დაცვა**

თქვენს პერსონალურ მონაცემებს იცავს არა მხოლოდ Area.ge-ს ხარისხი, ვალდებულებები და მაღალი სტანდარტები, არამედ კანონიც. ჩვენ შეგვიძლია დავამუშავოთ თქვენი პერსონალური მონაცემები მხოლოდ მაშინ როცა არსებობს ამის რეალური მიზეზი და როცა სახეზეა:

- სახელშეკრულებო ურთიერთობები
- სამართლებრივი ვალდებულებები
- პროცესზე თქვენი თანხმობა
- ჩვენი ლეგიტიმური ინტერესი
- საჯარო ინტერესი
- თქვენი/ჩვენი სასიცოცხლო ინტერესი

### **ჩვენი ინტერესები**

როცა ჩვენ გვაქვს თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების ბიზნეს ან კომერციული მიზეზი, ამას ლეგიტიმური ინტერესი ეწოდება. თქვენი პერსონალური მონაცემები ჯერ კიდევ დაცულია, ხოლო ჩვენ არ გვაქვს მისი იმ მეთოდით დამუშავების უფლება, რომელიც უსამართლო იქნება თქვენთვის ან თქვენი ინტერესებისთვის.

თუ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზეზად ვიყენებთ ლეგიტიმურ ინტერესს, ჩვენ გაცნობებთ ამის შესახებ, ასევე გაცნობებთ თუ რაში მდგომარეობს ჩვენი ლეგიტიმური ინტერესი და მოგახსენებთ მეთოდს, რომლის საშუალებითაც გექნებათ შესაძლებლობა დასვათ ნებისმიერი კითხვა ან გამოთქვათ პროტესტი.

### **რატომ ვამუშავებთ თქვენს პირად მონაცემებს**

ჩვენსა და მომხმარებლებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, მათ შორის იმ სამართლებრივი ვალდებულებების, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა ჩვენთან დაკავშირებული კანონით ან რეგულაციებით შესრულების გათვალისწინებით და ჩვენს მიერ კანონით გათვალისწინებული და სახელშეკრულებო ვალდებულებების ეფექტური შესრულების მიზნით, ჩვენ ვახდენთ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებას, რათა:

- ვმართოთ ურთიერთობა მომხმარებელთან
  - ჩვენი მომხმარებლებისთვის დავენერგოთ ახალი პროდუქტები და სერვისები და გავაფართოოთ ბიზნესი
  - შევქმნათ, განვავითაროთ და გავგზავნოთ მარკეტინგი
  - ჩვენ პროდუქტებთან და სერვისებთან დაკავშირებით, შევისწავლოთ ჩვენი მომხმარებლების ქცევა
  - უზრუნველვყოთ ჩვენი პროდუქტების და სერვისების მხარდაჭერა
- 
- განვავითაროთ და ვმართოთ ჩვენი ბრენდები, პროდუქტები და სერვისები
  - ჩავუტაროთ ტესტირება ახალ პროდუქტებს, სისტემებს ან სერვისებს
  - შევადაროთ და ვმართოთ ჩვენი ურთიერთობა სხვა კომპანიებთან, რომლებიც ჩვენ და ჩვენს მომხმარებლებს გვაწვდიან სერვისებს
  - მოგაწოდოთ ხარისხიანი პროდუქტები და სერვისები
  - შევქმნათ და ვმართოთ მომხმარებლის ანგარიში, მოგებები, გადახდები და თანხის გატანა
  - გავცეთ პასუხი ყველა მომხმარებლის პრეტენზიას
  - ხელი შევუშალოთ და გამოვავლინოთ ჩვენი სისტემების არასათანადო გამოყენება
- 
- მოვახდინოთ დანაშაულის პრევენცია
  - გამოვავლინოთ და გამოვიძიოთ დანაშაული, შევადგინოთ ანგარიში
  - ვმართოთ ჩვენი და ჩვენი მომხმარებლების რისკები
  - დავიცვათ ჩვენთან დაკავშირებული კანონი და რეგულაციები
  - უზრუნველვყოთ კორპორაციული მართვა და კანონით და რეგულაციებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვა
  - შევასრულოთ საკუთარი ვალდებულებები, როგორც ანგარიშვალდებულმა და პასუხისმგებელმა ორგანიზაციამ
  - ვისარგებლოთ ხელშეკრულებებით და კონტრაქტებით გათვალისწინებული ჩვენი უფლებებით

თუ თქვენ აირჩევთ არ მოგვაწოდოთ თქვენი პერსონალური მონაცემები, ამან შეიძლება ხელი შეგვიშალოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების და ხელშეკრულების შესრულებასა და თქვენი ანგარიშის გაშვებისთვის საჭირო მომსახურების გაწევაში. თქვენი პერსონალური მონაცემების არარსებობის პირობებში, ჩვენ მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას მოგაწოდოთ პროდუქტი და სერვისები.

## შეგროვებული ინფორმაცია

თქვენს შესახებ ინფორმაცია და მონაცემები (გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ქვემოთ მოცემული მოცულობის ინფორმაციის შეგროვება/შენახვა/გამოყენება/დამუშავება ჩვენს მიერ სავალდებულო არ არის. Area.ge იტოვებს უფლებას კონფიდენციალობის პოლიტიკით გათვალისწინებული სხვადასხვა მიზნით, კონკრეტულ შემთხვევებში საჭიროებისამებრ შეაგროვოს/შეინახოს/გამოიყენოს/დაამუშაოს მონაცემები), რომელთა შეგროვებაც, შენახვაც, გამოყენებაც და დამუშავებაც შეგვიძლია, შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ არ აჭარბებდეს შემდეგს:

### 1. პერსონალური მონაცემები:

- 1.1. ანგარიშის დეტალები: თქვენს მიერ ანგარიშის გახსნის და სერვისებით სარგებლობის რეგისტრაციისას, შეიძლება ჩვენ მოგთხოვოთ თქვენს შესახებ კონკრეტული პერსონალური მონაცემების მოწოდება, როგორცაა: სახელი და გვარი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, სქესი, დაბადების თარიღი, ფაქტიური მისამართი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი, თუ რას საქმიანობთ და ა.შ. ამასთან, ჩვენ უფლება გვაქვს შევაგროვოთ „ინობდუ შენს კლიენტს“ (KYC) და „ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის“ (AML) მარეგულირებელი დოკუმენტებით მოთხოვნილი ინფორმაცია, მაგ. თქვენი სახსრების წყარო, პირადობა, კავშირი სისხლის სამართლის ორგანოებთან, კომუნალური გადასახადების ქვითრები და ა.შ.

სახელმწიფოს მიერ გაცემული პირადობის მოწმობა: კონკრეტულ შემთხვევებში, პირადობის შემოწმების პროცესისთვის, თქვენ მოგეთხოვებათ სახელმწიფოს მიერ გაცემული პირადობის მოწმობის ასლის წარდგენა. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ აღნიშნული ინფორმაცია მოთხოვნილია ჩვენი სერვისების გარკვეული თავისებურების გამო.

- 1.2. ნებაყოფლობითი ინფორმაცია: ჩვენ ასევე ვაგროვებთ ინფორმაციას, რომელსაც გვაწვდით ნებაყოფლობით. მაგ. როცა ჩვენს კომუნიკაციაზე რეაგირებთ, დაგვიკავშირდით ელექტრონული ფოსტით ან გაგვიზიარეთ თქვენს შესახებ დამატებითი ინფორმაცია თქვენს მიერ სერვისების გამოყენებით, როგორცაა ლაივ ჩატები ვებგვერდის მხარდაჭერის გუნდთან ან სხვა მომხმარებლებთან.

### 2. არაპირადი ინფორმაცია:

- 2.1. ლოგ-ინ ისტორია და ტექნიკური ინფორმაცია: სერვისების ფუნქციონირების გაუმჯობესებისა და მომხმარებლისთვის უკეთესი გამოცდილების გაზიარების მიზნით, ჩვენ ვაგროვებთ თქვენი მოწყობილობით, მათ შორის პროგრამული და ტექნიკური უზრუნველყოფით გადმოცემულ ტექნიკურ ინფორმაციას (მაგ. თუ რა ტიპის ბრაუზერს და ოპერაციულ სისტემას იყენებს თქვენი მოწყობილობა, რომელ ენას ანიჭებთ უპირატესობას, შესვლის დრო და ვებგვერდის დომენის სახელი, საიდანაც თქვენ უკავშირდებით სერვისებს და ა.შ.).

- 2.2. ინფორმაცია მოწყობილობის და დაკავშირების შესახებ: თუ თქვენს მოწყობილობაში ტვირთავთ პროგრამულ უზრუნველყოფას, ჩვენ შეგვიძლია შევაგროვოთ

ინფორმაცია იმ კონკრეტული მოწყობილობიდან, რომელსაც თქვენ იყენებთ, რომლის მიზანია უსაფრთხოების დაცვა და თაღლითობის შემთხვევების გამოვლენა და პრევენცია. მაგ. ჩვენ შეგვიძლია შევავროვოთ ინფორმაცია სხვა პროგრამული უზრუნველყოფის შესახებ, რომელიც გაშვებულია პროგრამულ უზრუნველყოფასთან ერთად და გამოავლინოთ ხომ არ იყენებთ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც დაკავშირებული თაღლითურ ქმედებებთან (მაგ. რობოტები, მავნე პროგრამები, AI და ა.შ.) ან შევამოწმოთ თუ რომელ კავშირს იყენებთ VPN-ს თუ Proxy-ს.

2.3. ანალიტიკური ინფორმაცია: ჩვენ შეგვიძლია შევავროვოთ ინფორმაცია თქვენს მიერ სერვისების გამოყენების თაობაზე, როგორცაა აპლიკაციების გამოყენება, ფაილების ძიება, მომხმარებლის აქტიურობა (მაგ. ნაწახი გვერდები, კონკრეტულ გვერდზე დახარჯული დრო, ონლაინ გვერდების დათვალიერება, დაწკაპუნებები, ქმედებები და ა.შ.) დროის მარკები, შეტყობინებები და ა.შ. ინფორმაცია შეგროვება ხდება სხვა ინფორმაციასთან ერთად, რომელიც მოიპოვება შეცდომების და პრობლემების აღმოფხვრის მიზნით, ასევე თქვენს მიერ სერვისების გამოყენების შესახებ კვლევისა და ანალიზის მიზნებისთვის.

2.4. ანონიმური ინფორმაცია: ჩვენ შეგვიძლია მოვახდინოთ სერვისების მიერ ან სხვა საშუალებით მოგროვილი ინფორმაციის ანონიმურობა ან დეიდენტიფიკაცია იმგვარად, რომ ინფორმაციამ ვერ შეძლოს პირადად თქვენი ამოცნობა. ამგვარად შეგროვილი და დეიდენტიფიცირებული ინფორმაციის ჩვენს მიერ გამოყენება და გამჟღავნება არ ექვემდებარება კონფიდენციალურობის პოლიტიკის ფარგლებში არსებულ შეზღუდვებს. ჩვენ შეგვიძლია შეუზღუდავად გავუმჟღავნოთ ეს ინფორმაცია სხვებს ნებისმიერი მიზნით, როგორცაა რეკლამა ან მარკეტინგი.

იმ შემთხვევაში, როცა ეს გონივრულია ჩვენთვის და არ არღვევს თქვენს უფლებებს და თავისუფლებას, ჩვენ ასევე შეგვიძლია მივიღოთ თქვენი პერსონალური მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან, როგორცაა ინტერნეტი, სოციალური და სამაუწყებლო მედია.

### **რამდენ ხანს ვინახავთ თქვენს პირად მონაცემებს**

ყოველთვის, როცა თქვენ მონაცემებს ინახავს Area.ge, ჩვენ უზრუნველვყოფთ მათ სათანადო დაცვას და მხოლოდ მისაღები მიზნებისთვის.

თქვენს მონაცემებს ვინახავთ მანამ, სანამ ხართ Area.ge-ს მომხმარებელი. თუ თქვენ აღარ ხართ Area.ge-ს მომხმარებელი, თქვენი მონაცემები შეინახება პოლიტიკის, კანონით და მარეგულირებელი დოკუმენტების გათვალისწინებული მიზნების შესაბამისად. თქვენი პერსონალური მონაცემები ინახება მაშინაც კი თუ მომხმარებლის ანგარიში დაბლოკილი/დეაქტივირებული/წაშლილია/ან სხვაგვარად აღარ არის აქტიური ან რომლის წაშლაც შეუძლებელია ტექნიკური მიზეზების გამო.

## მესამე მხარისთვის გაზიარებული ინფორმაცია

საჭიროების შემთხვევაში, თქვენი პერსონალური მონაცემები შეგვიძლია გავუზიაროთ Area.ge ჯგუფს და ქვემოთ მოყვანილი სხვა ორგანიზაციებს

- სამართალდამცავი ორგანოები, მარეგულირებელი და სხვა ორგანოები
- საკრედიტო საცნობარო სააგენტოები
- თაღლითობის პრევენციის სააგენტოები
- პირადობის დამდგენი სააგენტოები
- ორგანიზაციები, რომლებიც გვაცნობენ თქვენს თავს
- მესამე მხარეები, რომელთათვისაც გვთხოვთ (ან ნებას გვრთავთ) თქვენი მონაცემების გაზიარებას
- მესამე მხარეები, რომლებიც აუცილებელია თქვენს მიერ მოთხოვნილი პროდუქტებისა და სერვისების მიწოდების უზრუნველსაყოფად

თქვენთან დაკავშირებული და თქვენთვის საინტერესო მომსახურებებთან, პროდუქტებთან, სერვისებთან, ვებ-გვერდებთან და აპლიკაციებთან დაკავშირებული სარეკლამო მასალების მოწოდების მიზნით, გვერდს შეუძლია უშუალოდ ისარგებლოს თქვენი პერსონალური ინფორმაციით, რომელიც შემოიფარგლება მხოლოდ თქვენი სახელით, ელექტრონული ფოსტის მისამართით ან ტელეფონის ნომრით ან ამისათვის მიმართოს ჩვენს მესამე მხარის ქვეკონტრაქტორებს/აფილირებულ პირებს/თამაშის პროვაიდერებს/ერთობლივი მარკეტინგის პარტნიორებს / ბიზნეს პარტნიორებს.

- იმისათვის, რომ მოგაწოდოთ ჩვენი და ჩვენი მარკეტინგული პარტნიორების აზრით თქვენთვის შესაბამისი სხვადასხვა მარკეტინგული წინადადებები, ჩვენ შეგვიძლია გავუზიაროთ და გავუმჟღავნოთ აღნიშნული პერსონალური ინფორმაცია ჩვენს მარკეტინგის პარტნიორებს.

ჩვენ შეგვიძლია გავუზიაროთ ჩვენს მიერ თქვენგან მიღებული და თქვენს შესახებ შეგროვილი ნებისმიერი პერსონალური ინფორმაცია არააფილირებულ მესამე პირებს. ინფორმაცია შეიძლება გაზიარებული იქნას მესამე მხარე სერვისების პროვაიდერებთან რომლებიც გვაწვდიან ისეთ მომსახურებას, როგორცაა ინფორმაციის დამუშავება (მაგ., AML- ის ან KYC- ის პოლიტიკის მიხედვით, რომელიც მიღებულია ჩვენი ვებ-გვერდის მიერ და ა.შ.)ან მოგროვილი იქნას მათ მიერ. ეს პროვაიდერები გვჭირდება იმისათვის, რომ გონივრულად დავიცვათ თქვენი პერსონალური ინფორმაცია და უზრუნველვყოთ მისი მხოლოდ დანიშნულებისამებრ გამოყენება.

ჩვენ ასევე უფლება გვაქვს გავუმჟღავნოთ პერსონალური ინფორმაცია სხვა კომპანიებს, რომლებიც არსებობენ ჩვენთან დაკავშირებულ ან შვილობილ კომპანიებში, ასევე ჩვენს ბიზნეს პარტნიორებს ან უფლებამონაცვლეებს.

## **პირდაპირი საფოსტო პროგრამის გათიშვა**

თქვენ შეგიძლიათ ნებისმიერ დროს თქვით უარი ჩვენგან ან მარკეტინგული ფილიალებისგან მარკეტინგული შემოთავაზებების მიღებაზე. რისთვისაც: უნდა მიჰყვეთ მარკეტინგულ კავშირებში არსებულ მითითებებს Area.ge-ს ანგარიშის გვერდზე და აირჩიოთ “პროფილის რედაქტირება” ან დაუკავშირდეთ მხარდაჭერის გუნდს [info@area.ge](mailto:info@area.ge)-ზე. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მაშინაც კი, თუ თქვენ ამოეწერებით ჩვენი მარკეტინგული ფოსტის სიიდან, ჩვენ შეგვიძლია გავაგრძელოთ თქვენთვის სერვისებთან დაკავშირებული განახლებების და შეტყობინებების გამოგზავნა.

## **როგორ ვიცავთ თქვენს შესახებ არსებულ ინფორმაციას**

ჩვენ დიდ ყურადღებას ვუთმობთ სერვისების და თქვენი პერსონალური მონაცემების დაცვის ღონისძიებების დანერგვას და განხორციელებას. ჩვენს მიერ დანერგილ იქნა უსაფრთხოების სათანადო ფიზიკური და ტექნოლოგიური ღონისძიებები რათა მოხდეს არასანქცირებული წვდომის პრევენცია, მონაცემთა დაცვა და ჩვენს მიერ ინტერნეტით შეგროვილი ინფორმაციის სწორი გამოყენების უზრუნველყოფა. უსაფრთხოების ეს ზომები განსხვავდება ჩვენს მიერ შეგროვილი და შენახული ინფორმაციის სენსიტიურობის მიხედვით.

ჩვენი მომხმარებლების პერსონალური ინფორმაციის დაცვის მიზნით, ჩვენ ვიყენებთ კონტროლის სტანდარტულ პროცედურებს და საშუალებებს, როგორცაა, მაგალითად:

- ქსელის უსაფრთხო ტოპოლოგია, რომელიც მოიცავს შედარებით პრევენციის და პროგრამული და აპარატურული უზრუნველყოფის სისტემებს;
- დაშიფრულ კავშირს;
- აუთენტიფიკაციის და წვდომის კონტროლი;
- შიდა და გარე აუდიტის ტესტები და ა.შ.

## **ონლაინ უსაფრთხოება**

მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციის დაცვის მიზნით ვახორციელებთ ყველა საჭირო ზომას, ინტერნეტის სტრუქტურის გამო არ შეგვიძლია ვიკისროთ პასუხისმგებლობა იმ პირების ქმედებებზე, რომლებიც ახორციელებენ არასანქცირებულ წვდომას, ბოროტად იყენებენ ან ტეხავენ სერვისებს. ჩვენ არ ვიძლევიან აშკარა, ნაგულისხმევ ან სხვაგვარ გარანტიას, გარდა იმისა, რომ მოვახდენთ ამგვარი შედარებით პრევენციას.

## **გარე ბმულები**

გვერდი შეიძლება შეიცავდეს სხვა ვებ-გვერდებზე ჰიპერბმულებს, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ ჩვენგან განსხვავებული საინფორმაციო პოლიტიკები და მეთოდები. ის ფაქტი, რომ

ჩვენ მოვახდინეთ ბმულის უზრუნველყოფა გვერდზე, არ წარმოადგენს ჩვენს მიერ მოწონებას, ავტორიზაციას, სპონსორობას ან ჩვენთვის მიკუთვნებას ამ გვერდთან, მის მფლობელებთან ან პროვაიდერებთან მიმართებით. სხვა გვერდებზე ბმულები მოცემულია მხოლოდ თქვენი კომფორტულობის თვალსაზრისით. ჩვენ პასუხს არ ვაგებთ ამ გვერდთან დაკავშირებული სხვა ვებგვერდების შინაარსზე, ნამდვილობაზე, კონფიდენციალურობის პოლიტიკასა და საიმედოობაზე, რომლებიც არ არიან ჩვენი მახასიათებლების ოჯახის წევრები. რისკი არსებობს ინტერნეტით ნებისმიერი ინფორმაციის, პროდუქტის, პროგრამული უზრუნველყოფის და სერვისების გამოყენებისას. ინტერნეტით ამ გვერდების გამოყენებამდე, ნდობამდე და რაიმეს შექმნამდე დარწმუნდით, რომ სრულად აცნობიერებთ ამ რისკებს.

### სატელეფონო/ვიდეო ზარები

ჩვენს მხარდაჭერის ოფისში შემავალი და გამომავალი სატელეფონო და ვიდეო ზარები იწერება სწავლების და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ასევე ნებისმიერი პრობლემის გადაჭრის მიზნით, რომელიც შეიძლება წამოიჭრას იმ სერვისებთან დაკავშირებით, რომლებითაც სარგებლობთ.

### COOKIE ფაილების გამოყენება

მომხმარებელთა უფრო ხარისხიანი და პერსონალიზირებული სერვისებით უზრუნველყოფის მიზნით, ვებ-გვერდი იყენებს **COOKIE** ფაილებს.

**COOKIE** ფაილები მცირე ტექსტური ფაილებია, რომლებიც მოიცავენ მინიმალური მოცულობის ინფორმაციას, რომელიც ვებ-გვერდზე წვდომის შემთხვევაში იგზავნება და ინახება თქვენს კომპიუტერში, სმარტფონსა თუ სხვა მოწყობილობებში. ამის მერე, ყოველი მომდევნო ვიზიტისას **COOKIE** ფაილები იგზავნება უკან, მის შემქმნელ გვერდებსა და სხვა ვებ-გვერდებზე, რომლებიც ცნობენ ამ **COOKIE** ფაილებს. **COOKIE** ფაილები სასარგებლოა, რადგან ისინი გვერდს აძლევენ მომხმარებლის მოწყობილობის ამოცნობის საშუალებას.

**COOKIE** ფაილები ზოგადად გამოიყენება მომხმარებლის გამოცდილების გაუმჯობესების მიზნით. ზოგიერთი ჩვენს მიერ გამოყენებული **COOKY** ფაილი არსებითად მნიშვნელოვანია ვებ-გვერდის მუშაობისთვის.

Area.ge -ს მიერ **COOKIE** ფაილების გამოყენება იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

- სესიის მართვა
- ფუნქციონალობა
- თაღლითობის პრევენცია
- თვალყურის დევნება
- ანალიზი

მესამე მხარე სარეკლამო კომპანიები/ავილირებული პირები, რომლებიც მათთან მუშაობენ, თქვენთვის საინტერესო სარეკლამო მასალების მოწოდებისთვის ინფორმაციის შეგროვების



და შენახვის მიზნით, ასევე შეიძლება იყენებდნენ cookies ფაილებს და მათთან დაკავშირებულ ტექნოლოგიებს.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ cookies ფაილების შესახებ იხილეთ აქ: [www.allaboutcookies.org](http://www.allaboutcookies.org).

## თქვენი უფლებები თქვენს პირად მონაცემებზე

თუ თქვენ აირჩევთ ისარგებლოთ თქვენი უფლებებით თქვენს პერსონალურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, ჩვენ გაგიწევთ დახმარებას, მათ შორის:

- თქვენს მიერ მანამდე მიცემულ თანხმობის გამოთხოვა (თუმცა, ეს არ გამოიწვევს ინფორმაციის გაუქმებას, რომელიც დამუშავდა თქვენი მანამდე მიცემული თანხმობის შესაბამისად)
- მონაცემთა დაცვის ნებისმიერ ორგანოში საჩივრის შეტანა
- ჩვენს ხელთ არსებულ თქვენს პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უზრუნველყოფა
- არასწორი და მოძველებული პერსონალური მონაცემების შესწორება
- ჩვენს მიერ დამუშავებული პერსონალური ინფორმაციის წაშლა
- ჩვენთვის მოთხოვნა მოგაწოდოთ თქვენ ან თქვენს მიერ დასახელებულ სხვა კომპანიას თქვენი პერსონალური მონაცემების კონკრეტული ასპექტები, რომელსაც ხშირად „მოზილობის უფლებით“ მოვიხსენიებთ
- მონაცემთა ნებისმიერი დამუშავების გაპროტესტების შესაძლებლობა, როცა ამას ვახდენთ ჩვენი ლეგიტიმური ინტერესების გათვალისწინებით
- მთლიანად ავტომატური დამუშავებით მიღებული გადაწყვეტილების გაპროტესტება რათა მოხდეს საკუთარი შეხედულების გამოხატვა და მოთხოვნა, რომ გადაწყვეტილების განხილვა მოხდეს ადამიანის მიერ.

ამ უფლებებზე უფრო მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ვებგვერდს [info@area.ge](mailto:info@area.ge)

## არასრულწლოვანი პირები

სერვისები არ არის შექმნილი ან გამიზნული 18 წლამდე ასაკის პირებისთვის, პირებისთვის, რომელთაც რომელიმე იურისდიქციით სერვისების გამოყენებასთან დაკავშირებით არ მიუღწევიათ კანონიერი თანხმობის ასაკამდე („კანონით სრულწლოვანი“). თუ თქვენ არ ხართ კანონით სრულწლოვანი პირი, თქვენ არ გაქვთ უფლება ჩამოტვირთოთ ან ისარგებლოთ სერვისებით ან მოგვაწოდოთ პერსონალური ინფორმაცია.

ჩვენ ვიტოვებთ უფლებას ვიქონიოთ წვდომა და შევამოწმოთ თქვენგან მიღებული ნებისმიერი პერსონალური ინფორმაცია. იმ შემთხვევაში თუ ჩვენთვის გახდება ცნობილი, რომ ინფორმაციის გაზიარება მოხდა მომხმარებლის მიერ, რომელსაც არ მიუღწევია სრულწლოვანების ასაკამდე, ჩვენ უფლება გვაქვს არ გავითვალისწინოთ ეს ინფორმაცია. თუ

თქვენ გაქვთ მიზეზი ივარაუდოთ, რომ ჩვენთვის ინფორმაციის გაზიარება მოხდა არასრულწლოვანი პირის მიერ, გთხოვთ გვაცნობოთ ამის შესახებ.

### **ცვლილებები ჩვენს კონფიდენციალურობის განაცხადში**

დროთა განმავლობაში შესაძლებელია საჭირო გახდეს ჩვენი კონფიდენციალურობის პოლიტიკის შეცვლა ან მასში დამატებების შეტანა. ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, ჩვენ გამოვაქვეყნებთ ამ ცვლილებებს ჩვენს ვებ-გვერდებზე და შევცვლით თარიღს წინამდებარე პოლიტიკის თავზე. მოდიფიცირებული კონფიდენციალურობის პოლიტიკა ძალაში შედის გვერდზე გამოქვეყნების შემდეგ. რეკომენდაციას გაძლევთ პერიოდულად ეწვიოთ ჩვენს ვებ-გვერდს და გაეცნოთ ჩვენს კონფიდენციალურობის პოლიტიკას მისი ცვლილების შემთხვევაში. კონფიდენციალურობის პოლიტიკაში ცვლილებების შეტანის შემდეგ ჩვენთვის თქვენს მიერ ინფორმაციის მოწოდება ან ჩვენი ვებ-გვერდებით სარგებლობა ნიშნავს, რომ თქვენ ეთანხმებით ცვლილებებს და ჩვენს მიერ თქვენი პერსონალური მონაცემების გამოყენებას მოდიფიცირებული პოლიტიკის შესაბამისად. არსებულ კონფიდენციალურობის პოლიტიკაში არსებითი ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, ყველა გონივრულ ზომას მივიღებთ რომ წინასწარ გაცნობოთ ამ ცვლილებების შესახებ ელექტრონული ფოსტის ან სხვა შეთანხმებული არხის საშუალებით.

ამასთან, კონფიდენციალურობის პოლიტიკასთან დაკავშირებით, ვიტოვებთ უფლებას პერიოდულად შევცვალოთ და განვაახლოთ კონფიდენციალურობის პოლიტიკის ნებისმიერი პირობა, ხოლო თქვენ მოგეთხოვებათ კონფიდენციალურობის პოლიტიკაში შეტანილი ამგვარი ცვლილებების მიღება რათა შეძლოთ ონლაინ სერვისებით და პროდუქტებით სარგებლობის გაგრძელება.

ჩვენ წინასწარ გაცნობებთ ცვლილებების შესახებ და მოგცემთ საკმარის დროს რათა შეძლოთ ცვლილებების ძალაში შესვლამდე მათი განხილვა და გააზრება. თქვენი აშკარა თანხმობის გარეშე ჩვენ არ შევიტანთ არსებით ცვლილებებს კონფიდენციალურობის პოლიტიკაში. თუ თქვენ უარს განაცხადებთ კონფიდენციალურობის პოლიტიკაში ცვლილებების მიღებაზე ან სხვაგვარად არ მიიღებთ მათ განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში, ჩვენ მოკლებული ვიქნებით შესაძლებლობას გავაგრძელოთ ზოგიერთი ან ყველა პროდუქტის ან სერვისის მოწოდება.

### **გამოყენების პირობები**

თქვენს მიერ ჩვენი გვერდის გამოყენება ნიშნავს, რომ თანახმა ხართ cookie ფაილების კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესაბამისად ავტომატურ გამოყენებაზე. კონფიდენციალურობის პოლიტიკა წარმოადგენს ვებგვერდის პირობების განუყოფელ ნაწილს და სრულად გამოიყენება ჩვენს ვებგვერდზე რეგისტრაციის გზით გვერდი პირობების მიღების შემთხვევაში.

## კავშირი ჩვენთან

დაგვიკავშირდით [info@area.ge](mailto:info@area.ge)-ზე თუ გაქვთ კითხვები ან გსურთ მიიღოთ მეტი ინფორმაცია თუ როგორ ვახდენთ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებას.